№ 2 სექტემბერი, 1912 წ. ფასი 5 კაპ.

არჩევანი

ალმანახი

გიმოვა როცა ეს შესაძლებელი იქნება. შემდეგ №-დან ვეცდებით სურათების მოთავსებას ადრესი: ფერაძის და კარნაუხოვის სტამბაში ალმანახისთვის

ოქტომბრის 24

ამ თვეს ქ. ქუთაისში მოხდება ხონის, სამტრედიის ტყიბულის და ქუთაისის საბოქაულოების წვრილ მემამულეთა ხელმეორე კრება რწმუნებულების ასარჩევათ, ნაცვლად პირველი კრებისა, რომელიც უკანონოთ იცნეს. ამრჩევლები უნდა გამოცხადდენ არა უგვიანეს დილის ათი საათისა ქალაქის თეატრში.

გამოვიდა და იყიდება

ყველა წიგნის მაღაზიებში

КАВКАЗСКІЕ ДЕПУТАТЫ

въ 3-ей Государсвенной Думѣ

ფასი 50 კაპ. წიგნი ბაქოშია გამოცემული და შვიცავს 240 გვ.

ექიმი გ. დ. ნასარიძე ტ მისი და კბილის ექიმი ე. დ. ნასარიძე გადვიდენ ახალ ბინაზე იქვე ძველი ბინის პირდაპირ რ. ს. ეზიკოვის სახლში.

ექიმი ირ. ცეხანოვსკი ღებულობს შინაგან, საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავათმყოფებს დილის 10—12 საათ. საღამოს 5—7 საათამდე.

ადრესი: გადავიდა, პუშკინის ქუჩაზე „სევერნი ნომრების“ პირდაპირ გოკიელოვის შენობაში.

ბებია ქალი ე. თ. ბუდაგოვსკისა.

ვკურნავ კან-ქვეშ შესაშხაპუნებელ წამლით. ივანოვის ქუჩა სახლი ბაჯიოღლისა № 20.

ორი თავადი.

— —

თავადი ვლადიმერ.

თავადი კიტა.

აი ამათი სახელი აკერიათ პირზე კოლხიდელ-სახალხოელთ. ძირს ვლადიმერ, გაუმარჯოს კიტას—განგაშობენ ისინი. და ამ ყვირილმა ისე გააყრუა სახალხოელნი, რომ შეუპოვრათ გამოაცხადეს: იმერეთში დღეს საარჩევნო მოედანზე მხოლოდ ორი კანდიდატი, ორი თავადი დგანანო. მთელ ამ ვლადიმერ—კიტას დავიდარაბას რომ კარგათ დაკვირდეთ, დაინახავთ რომ მათი შეტაკება შეტაკებაა ძმათა შორის, მათი ბრძოლა ბრძოლაა შინაობაში, ერთ წრეში, ერთ და იმავე ნიადაგზე.

და მართლაც, ვის ეყრდნობიან ისინი? ეყრდნობიან სხვილ მემამულეთა კურიას, მათი ჯარი მხოლოდ აქ არის, მხოლოდ აქ პოულობენ ისინი თანაგრძნობას და გამოხმაურებას. მაშასადამე „სახალხოელთა“ გამოცხადება მართალია იმდენათ, რამდენათაც ლაპარაკია სხვილ მემამულეთა კურიაზე, აქ, ამ საარჩევნო მოედანზე, მართლაც ორი თავადი ებრძვის ერთმანეთს. ხოლო ამ კურიაში როლს თამაშობს არა პოლიტიკა, არა საქვეყნო კით-

ხვების გადაჭრა, არამედ მოყვრობა—ნათესაობა, გვართა ურთიერთ შორის დამოკიდებულება. აბაშიძენი და მათი ნათესავები კიტას ბუნებრივი მომხრეა, მიქელაძენი და მათი ნათესავები კი ვლადიმერის. ეს საგვარეულო ბრძოლაა, რაც ამდენ ხანს ბანკის და მარშლების არჩევნებში იჩენდა თავს, ხოლო ახლა კი პოლიტიკურ ნიადაგზეც გადმოაქვთ. მართალია მთელი ეს ღელვა ღელვაა ერთ ჭიქა წყალში, მარა სამი ივნისის კანონით ამ ერთ ჭიქა წყალს მიენიჭა დიდი მნიშვნელობა და დღეს კიტა-ვლადიმერიანები ცდილობენ ამით სარგებლობას.

რაკი ეს ორი კანდიდატი ერთი წრის ხალხია, ცხადია მათ შორის მეტი მზგავსება უნდა იყოს და ნაკლები განსხვავება. პირველ ყოვლისა, ორივე ცნობილია როგორც ბანკობიას დიდი მოღვაწენი. ვლადიმერის გარშემო იყრის თავს ქუთაისის ეგრეთ წოდებული პოზიცია, ცოტაოდენი გამოკლებით; კიტას გარშემო თავს იყრის ქუთაისის ოპოზიცია გამოუკლებლათ. ამ ორ ბანაკს შორის დიდი ხანია ბრძოლაა გამართული, ომია გამოცხადებული. კიტა აბაშიძე ოპოზიციის ლიდერია, ვლადიმერ მიქელაძე მოსული კაცია და ამიტომ პოზიციის ლიდერი არ არის, მარა მათ შორის ბუნებრივი სალიდარობა და კავშირია. პირველის გათეთრება უეჭველათ ნიშნავს ოპოზიციის გამარჯვებას, ხოლო მეორის გაშავება კიდევ არ ნიშნავს პოზიციის სრულ დამარცხებას, ვინაიდან როგორც ვთქვი ყველა გავლენიანი პოზიციონერი ვლადიმერს არ ემხრობა.

რისთვის ებრძვის ეს ორი ბანაკი ერთმანერთს საბანკო ნიადაგზე? არის ამ ბრძოლაში რაიმე იდეა, რაიმე საზოგადო იდეალი? არა ერთხელ დაწერილა, რომ აქ ბრძოლაა მხოლოდ ადგილების გარეშემო, ვინ ვის გამოცინცლის ბანკის ჯამაგირიან ადგილებს და თვითონ ხელში ჩაიგდებს. ეს აშკარა იყო დამფასებელთა წლევანდელ არჩევნებში, როცა ძველი დამფასებლები გააძევა გამარჯვებულ ოპოზიციამ და თავისი კაცები ჩააყენა. ასეთსავე პრძოლას ვხედავთ მათ შორის მარშალთა არჩევნებში. კიტა აბაშიძე აქ ლიდერობს ოპოზიციის კანდიდატთა გაყვანაში და პოზიციონერთა დამარცხებაში. და როგორც იცით, აქ ის იმასაც არ ერიდება, რომ ამომრჩეველთ ძალა დაატანოს მთავრობის შიშით.

როგორც ხედავთ, ორივე თავადი, კიტა და ვლადიმერი, მებატონეთა წრის მოღვაწენია, საბანკო და სამარშლო ადგილების მაძიებელნია, იმ განსხვავებით, რომ ვლადიმერმა გაასწრო კიტას და პეტერბურგის ბანკში ამოყო თავი.

ასეთია ამ ორი თავადის პრაქტიკული მოღვაწეობა.

როგორია მათი სამწერლო მოღვაწეობა?

აქაც ორივეს შორის დიდი მზგავსებაა. არც ერთ მათგანს ჩვენს პოლიტიკურ აზროვნების ისტორიაში თავისი წვლილი არ შეუტანია, პოლიტიკურ პრესაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ვლადიმერი სწერდა ი"ვიათათ, კიტა უფრო ხშირათ. რაზე სწერდა პირველი—ძნელი გამოსაცნობია, ყველაფერზე, რაც კი ენაზე მოადგებოდა, გარდა პოლიტიკისა რასაკვირველია, უმთავრესათ ბანკობიაზე. მეორემ დაიჩემა ,,ლიტერატურული კრიტიკა", რაც გამოხატა უმთავრესათ პირად მეგობრების ქებაში და ლარიბი ხალხის მგოსნების ძაგებაში. ამ მისმა მოღვაწეობამ დიდი ზარალი მოგვიტანა, ბევრი უნიჭო გაამდიდურა და ნიჭიერთ სწავლა-ცოდნის შეძენაზე ხელი ააღებია. საკმარისია ერთი მაგალითი. მას შემდეგ რაც კიტამ შანშიაშვილი ცამდის ასწია, ამ გვარიან ნიჭიერ ბავშვმა შესამჩნევათ უკლო სწავლასაც და წერასაც. ჩვენ ვიცით მრავალი მებრძოლი კრიტიკოსი, საზოგადო იდეალით გატაცებულნი. ასეთია მაგ. დობროლიუბოვი პისარევი და სხ. კიტა არ ეკუთვნის ამ კატეგორიას; მისი კრიტიკა სალონური კრიტიკაა, მოცლილი ხალხის გასართობია. მასში ნასახიც კი არ არის რაიმე ბრძოლის და საზოგადოებრივი იდეალის.

ამ ნაირათ, ორივე თავადის ნიშნობლივი თვისებები, ერთნაირია. ორივე თავადები მო-

ღვაწეა, ორივე საბანკო და სამარშლო ადგილების მაძიებელია, ორივე პოლიტიკური ბრძოლის გარეშე მდგომია. ახლა გავსიჯოთ რა განსხვავებაა მათ შორის.

თავად ვლადიმერმა თვითონ გამოსცა თავისი საარჩევნო პლატფორმა და გულ-ახდილათ გვითხრა ის, რაც არის. მას აქ არ წამოუყენებია, არც ერთი პოლიტიკური კითხვა, ხოლო პოლიტიკურ ბრძოლას უარს ყოფს. ამ გულახდილობისათვის ის მადლობის ღირსიც არის, ვინაიდან ახლა ყველამ იცის, ვისთანაც გვაქვს საქმე.

თავად კიტას არ გამოუცია არავითარი საარჩევნო პლატფორმა, ხმა არ ამოუღია თავის პოლიტიკურ მისწრაფებაზე. ის დუმს. სამაგიეროთ სხვები ბევრს სწერენ „კოლხიდა-სახალხო გაზეთში" მის შესახებ. სწერენ, რომ ის პოლიტიკური მებრძოლია, საქართველოს ნამდვილი წარმომადგენელია, სულით და გულით დემოკრატია და სხ. მარა ნათქვამია — ფიცი გვწამს და ბოლო მაკვირვებსო. ეს ბოლო გახლავს კიტას ზემოთ აღნუსხული საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობა. ის რასაც ახლა მის შესახებ მისი დამქაშები ამბობენ სრულიად არ შეესაბამება ამ მის მოღვაწეობას. ჩვენ, რასაკვირელია, ფიქრადაც არ მოგვდის ის, რომ კოლხიდელ-სახალხოელთა შორის არ იყოს მართლა პოლიტიკური მებრძოლი და დემოკრატი, ასეთები მათ შორისაც არიან, მხოლოთ ასეთი არ არის მათი დღევანდელი კანდიდატი კიტა აბაშიძე. ჩვენ მოვითხოვთ მათგან დაგვისახელონ კიტას მოღვაწეობის პოლიტიკური მხარე, სად, როდის და რაში გამოიჩინა მან პოლიტიკური ბრძოლა და დემოკრატობა. ასეთ მაგალითს ვერ დაგვისახელებენ. მის შესახებ ერთს ამბობენ მართალს: ის ავტონომისტიაო. მარა ავტონომისტს არ ესაჭიროება ბრძოლის უნარი? და განა დეპუტატობისათვის საკმარისია მარტო ავტონომისტობა? ასეთ დეპუტატს ერთ თვეში შემოელევა საფანელი, ერთი საათიც ეყოფა ავტონომიის მოსათხოვათ, მერე? კიტა აბაშიძეს გარდა ავტონომიისა არა მოეპოვება რა, არც პოლიტიკური პროგრამა, არც პოლიტიკური გაწვრთნა არც ბრძოლის. უნარი — ერთი სიტყვით არაფერი ის, რაც მოწინავე დეპუტატებისათვის მიუცილებელი საჭიროებაა.

როგორც ხედავთ, განსხვავება ორ თავად შორის ის არის, რომ ერთი არ მალავს თავის სიდუხჭირეს, ხოლო მეორე მალავს და ასე საზოგადოება შეცდომაში შეყავს. კიტა აბაშიძის გარეშემო ატეხილი განგაში — ერთა შესაზარისი რეკლამაა და მეტი არაფერი.

და აი, ეს ვაჟბატონები ფიქრობენ განდევნონ დუმიდან ისინი, ვინც ქართველმა მუშამ, გლეხობამ და ქალაქის დემოკრატიამ ორა ერთხელ შემოსა თავისი ნდობით, ვინც განვლო პოლიტიკური შკოლა და მოიხვეჭა სახელი ნამდვილი დემოკრატის და მებრძოლის, ვინც მიაჩვია ხალხი პოლიტიკურ აზროვნებას და მედგარ ბრძოლას — ერთი სიტყვით ვინც ხალხისთვის თავდადებულნი და დევნილნია.

ორი ნამდვილი თავადი, ორი ნამდვილი დემოკრატის მაგიერ, ორი მცონარე და მორეკლამე ორი მუშაკის და მოსაქმის მაგიერ — ჩინებული სურათი იქნება დუმაში.

იმ დღიდან რა დღესაც დუმის ტრიბუნაზე აბაშიძე ან მიქელაძე ავა და გეგეჭკორი და ჩხეიძე ჩამოვა იქიდან — ამათთან ერთათ ჩამოვა ქართველი ხალხი და ავა ქართველი შეძლებული თავადობა.

ორი მცონარე თავადი, თუ ორი მებრძოლი დემოკრატი — ამოირჩიეთ!

საარჩევნო შენიშვნები.

ვერაფერი ვერ ვისწავლე, ყველაფერი დავივიწყე — ეს სავსებით ითქმის ბ. გ. მ — ზე, რომელმაც ამ დღეებში „კოლხიდაში" (№ 146—148) გამოაქვეყნა სამი წერილი ამ სათაურით „სამი მიმართულება" მას თამამათ შეეძლო მისთვის ეწოდებია „ერთი მიმართულება", ვინაიდან სწორედ ერთი მიმართულებაა ნაშანში ამოღებული და ძველებურათ, მათებურათ ნაირ-ნაირათ შემკული. კაი ხანია

ასეთი წერილი აღარ მოთავსებულა ჩვენ მოწინააღმდეგეთა ორგანოებში. ასე გასინჯეთ, კოლხიდელ-სახალხოელებმაც კი დაინახეს, რომ ძველებურათ ჩვენი კრიტიკა უკრიტიკობას ნიშნავს, წინანდურათ ჩვენთან ბრძოლა უბრძოლველობას მოასწავებს და აკობია—ნიშადურის კილოს თავი გაანებეს მხოლოდ ბ. გ. მ. შერჩენია წინანდელ პოზიციას, მხოლოდ მას ვერაფერი ვერ უსწავლია დრო და გარემოებისაგან და ასე ეს უკანასკნელი ხუთი-ექვსი წელიწადი ერთიანათ გამოპარვია. და ეს მით უფრო გასაკვირალია, რომ ავტორი ცნობილია როგორც ,,ჭკვიანი კაცი'' როგორც ლიდერი და ავტორიტეტი ნაციონალისტებისა.

და მართლაც, რით გვიმასპინძლდება ბ. გ. მ.? გავშინჯოთ.

ის სწერს: ,,მათი (ე. ი. მარქსისტების) პროგრამა აშენებულია მარტოთ მარტო ერთი კლასის ინტერესებზე, სახელდობრ პროლეტარიატის ინტერესებზე. განვითარებულ ქვეყნებში... პროლეტარიატი შეადგენს ხალხის უმცირესობას. მოსახერხებელი და სამართლიანი იქნება რომ არჩეულ იქნას ჩვენში ხალხის უმცირესობის წარმომადგენელი?'' აი ეს ამონაწერი მთავარი საბუთია ავტორის მიერ წამოყენებული. მან პირწმინდათ განიმეორა თ. ვლ. მიქელაძე, რომელმაც თავის ცნობილ ბროშიურაში დასწერა: ,,თქვენ წარმომადგენელი ხართ ხალხის მხოლოდ იმ ნაწილისა, რომელიც თავის შრომას ყიდის და ამით ასაზრდოებს თავის თავს, კარგი და კეთილი, ხოლო გლეხებთან რახელი გაქვთ? რა უფლებით კისრულობთ გლეხების წარმომადგენლობას?''

როგორც ხედავთ ბ. გ. მ. და თ. ვლ. მიქელაძე ერთი ენით გველაპარაკებიან, ჩვენ შესახებ ერთი აზრის არიან. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ მიქელაძე არ ჩემობს არც სოციალისტობას, არც ფედერალისტობას და ამიტომ შეუძლია ამაებზე არა იცოდეს რა. ბ. გ. მ. კი არ ეპატიება პოლიტიკური ანბანის უცოდინარეობა და თავის თავის მიქელაძემდი ჩამოქვეითება.

ეს დღეს ყველამ იცის, რომ მარქსისტების პროგრამა მარტო ერთი კლასის ინტერესებზე არ არის აშენებული. პირიქით, ის აშენებულია ყველა გაყვლეფილისდა და ბეჩავებულის ინტერესებზე ვინაიდან მისი განხორციელება ყველა ამათთვის სასარგებლოა. პროლეტარიატია მხოლოდ ის მთავარი ძალა, რომელსაც შეუძლია მისი განხორციელება და ყველა უკმაყოფილო კლასის მეთაურობა. გერმანიის ს. დ. ამომრჩეველთა შორის მესამედი მაინც არის არა პროლეტარი, გლეხი და ქალაქის წვრილი შეძლების ხალხი. არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში პროლეტარიატი არ შეადგენს მცხოვრებთა უმრავლესობას, ყოველგან უმცირესობაა, რომლის მეთაურობას და აღთქმულ ქვეყანაში გაყვანას პირველი კისრულობს. ასე მსჯელობენ მარქსისტები

ახლა მითხარით, რა პოლიტიკური მოღვაწე უნდა იყოს ის კაცი, რომელმაც დღეს ეს არ იცის. ნუ თუ ბ. გ. მ. არასოდეს არ უნახავს და არ წაუკითხავს ის პროგრამა, რომელსაც ასე თამამათ იწუნებს? განა იმაში არ არის ანუსხული ფართე დემოკრატიის სასარგებლო მუხლები? განა მოთხოვნა კონსტიტუციის, დემოკრატიული თვითმართველობის, აგრარულ კითხვის გადაჭრა და სხვ. და სხვ მარტო პროლეტარიატის სასარგებლოა? სად იმყოფება ბ. გ. მ., რომელ პლანეტაზე ბინადრობს, რომ ეს ამდენ ხანს არ შეუტყვია?

დასწერა რა ასეთი შეუსაბამობა ავტორი რიხიანათ განაგრძობს: ,,თუ პროგრამა არ შეიცვალა, ცხადია რომ ვერც გლეხების, ვერც ქალაქის წვრილი დემოკრატიის წარმომადგენლობას მარქსისტები ვერ იკისრებენ''...

დიახ, სანამ ბ. გ. მ. პროგრამას არ გაეცნობა, მანამდის უკეთესია დაჩუმდებოდეს და თავისთავს ასე უდიერათ არ აბახებდეს. და თუ პროგრამის ხელში აღებას ბ. მ. უფრთხის, დუმის სტენოგრაფიული ანგარიში ხომ ნათლათ ეტყოდა—რას თხოულობდენ და რისთვის იბრძოდენ ჩვენი დეპუტატები. განა მა-

თი მოღვაწეობა ერთი დიდი ბრძოლა არ არის გლეხობის და ფართე მასის სასარგებლოთ გაწეული? რანიირათ დავიჯეროთ რომ ბ. გ. მ. არც ერთი ეს არ იცის? ან შეიძლება ჩინებულათ იცოდეს და დაბალი ხარისხის ცილისწამებას კადრულობდეს?

აგვიხსენით ბ. გ. მ., რას ნიშნავს ყველა ეს?

მტყუანს კარამდის მიყევიო—ნათქვამია და ჩვენც მივყვეთ ბ. გ. მ—ს. ის მარქსისტებს მიაწერს რაიმე სისულელეს და მერე ოფლსა ღვრის მის დარღვევისათვის. მაგ. ასე სწერს: მარქსისტების „წარმოდგენით პროგრამა უნდა იყოს აშენებული მთელი კაცობრიობის საერთო ინტერესებზე განურჩევლათ სხვადასხვა კონკრეტიული პირობებისა, რომელშიაც იმყოფება ეს თუ ის ხალხი“-ო. ჯერ ამბობს, რომ პროგრამას მარტო პროლეტარიატის ინტერესებზე აშენებენო, ახლა გამოდის რომ ის „კაცობრიობის საერთო ინტერესებზე“ ყოფილა აგებული! ასეთი წანაჯექ—უკუჯექობა ხშირია ბ. გ. მ. წერილებში და ჩვენ აქ მისი ლოღიკური ნახტომები დიდათ არ გვაინტერესებს. უფრო საინტერესოა ის, რომ ავტორი კონკრეტიულ პირობებზე გვებაასება და მის წერილებში ერთი კონკრეტიული პირობა არ არის დასახელებული. ჩვენი დეპუტატების მოღვაწეობა, რაიცა ამას წინეთ ანუსხული იყო „ჩვენ ცხოვრებაში“, ერთიანათ კონკრეტიული ნაბიჯებისაგან შედგება, ბ. გ. მ. იძახის არ აირჩიოთ ყოფილი დეპუტატებიოდა იმავე დროს არც მათ ერთ კონკრეტიულ ნაბიჯებს არ იხსენიებს, თითქო მათ ამ ხუთ წელიწადს წყალი ენაყოთ. ბ. მ. უფრო ეხერხება საზოგადო ფრაზებით ლაპარაკი, ვინემ კონკრეტიული პირობის გამორკვევა. ის კიდევ ფრაზების სამეფოში განისვენებს. მხოლოდ ეს ფრაზებიც ყალბათ შეხანხლული და მოწინააღმდეგის დასამცირებლათ გამოგონილია.

და მართლაც, როდის, რომელ მარქსისტმა სთქვა პროგრამა არ უნდა იყოს ადგილობრივ პირობებთან შეთანხმებულიო? ყოველგან ხომ ერთნაირი პოლიტიკური წყობილება არ არის, რომ პროგრამაც ერთნაირი იყოს. ჩვენ ჯერ კიდევ კონსტიტუციისათვის ვიბრძვით, ხოლო ინგლისში და საფრანგეთში კონსტიტუციას დიდი ხნის ისტორია აქვს. საიდან თხზავთ ბ. გ. მ. ამდენ ჭორებს? თქვენ ალბათ გაგიგონიათ, რომ პროლეტარიატის საბოლოო მიზანი ყოველგან ერთი და იგივეაოდა ეს აგირევიათ მის უახლოვეს მიზნებში. ერთი მუხლი, ერთი მოთხოვნილება მაინც დაგესახელებიათ და გეთქვათ ეს ჩვენ არ გვეხება, ეს გერმანიას ან ინგლისს უფრო ეხებაო. მიგვითითეთ დეპუტატთა თუ გინდ ერთ ნაბიჯზე, ერთ მათ სიტყვაზე, რომელიც ჩვენ არ გვეხებოდეს. აგვიხსენით, ბ. გ. მ. რას ნიშნავს ყველა ეს, საიდან თხზავთ ამდენ ტყუილ ამბებს?.

ამნაირათ, ბ. გ. მ. აზრით პროგრამა ჩვენ ცხოვრებას არ ეკარება, ჩვენი ხალხის ნამდვილი ცხოვრების ნაკარნახევი არ არის. მაშ რატომ ირჩევს ეს ხალხი მუდამ ერთ და იმავე მიმართულების დეპუტატთ? ამის პასუხათ ბ. მ—ლი სწერს: „ჩვენის ფიქრით, ფართო ამომრჩეველთა მასამ არ იცის ნამდვილი პოლიტიკური და სოციალური თვისება დასელებისა, ის, რითაც ისინი სამართლიანათ ხიბლავენ მასას, არის არა მათი პროგრამა, არამედ მათი მოქმედება, დაუღალავი, სისტემატიური მუშაობა“.

როგორც ხედავთ, ჩვენ ხალხს მოსწონებია არა ის მოთხოვნილებანი, რომლისათვის „დასელები“ იბრძვიან, არამედ თვით ეს ბრძოლა! ე. ი. ხალხი იბრძვის ბრძოლისათვის, როგორც ხელოვანი ხელოვნობს ხელოვნებისათვის! ასე გადააბრუნა ავტორმა ხალხის რეალური სულისკვეთება და მიაწერა მას ოცნებაში მყოფ ინტელიგენციის თვისება.

ცხადია, ბ. გ. მ. ტყუილა ასე ტრაბახობს კონკრეტიული საჭიროების ცოდნით: მას არ სცოდნია მთავარი კონკრეტიული გარემოება, სახელდობრ ის, რომ ხალხი ცხოვრობს მუდამ რეალური ცხოვრებით, ის მუდამ თავისი ნამდვილი მოთხოვნილებისათვის იბრძვის. და თუ ქართველმა ხალხმა თავისი ნდობით დაა-

ჯილდოვა ,,დასელები'' — აშკარაა უკანასკნელნი მისი ჭირის და ლხინის გამომზიტველნი ყოფილან, ე. ი. ხალხს კაი ხანია დაუნახავს ის, რის დანახვა ბ. მ. დღესაც ვერ მოუხერხებია.

და ასე, ყალბი შეხედულება მარქსისტებზე, ყალბი შეხედულება ქართველ ხალხზე — აი ბ. გ. მ. წერილების საფუძველი. და რადგანაც, თუ საძირკველი დანგრეულია, მაზე კედელის ამოყვანისთვის ყოველი შრომა დაკარგულია, აშკარაა ავტორის მიერ ამოყვანილი კედელიც მინგრეულ-მონგრეულია. აქ ვერ შეხვდებით ერთ მართალ ამბავსაც, თუმცა არ ტოვებს უხსენებლათ არც მარქს, არც ენგელს, არც ბუნდს, არც გერმანიის სოც.-დ. და სხ. ჩვენ, რასაკვირელია, ამ შორებელი ამბების ცოდნას ვერ მოვსთხოვთ მას, როცა ახლობელი ამბავიც ასე ყალბათ გადმოგვცა. ბბა ვინ დაუჯერებს მას როცა პარტიულ შინაგან ამბავს მოგვითხრობს, როცა მან გარეგანი ამბავი, მისი პროგრამა და ტაქტიკა ასე გაიზლაპრა?

არა, ბატონებო, უმჯობესია დაგვისახელოთ კონკრეტიულათ, რა გნებავთ, რას აბარებთ თქვენ დეპუტატს დუმაში. რა სურს ევგენი გეგეჭკორს და კარლო ჩხეიძეს — ეს ქვეყანამ იცის, ხოლო რა სურს თქვენ კანდიდატს თ. კიტა აბაშიძეს — ეს არავინ უწყის. აქაც კიტას დამცველი ბ. გ. მ. საზოგადო ფრაზებით გვიმასპინძლდება, აქაც პრტყელ-პრტყელ სიტყვებს ვერ გასცილებია. ის ამბობს: ,,ჩვენს ქვეყანას ეკადრება თავისუფალი, დამოუკიდებელი წარმომადგენელი რუსეთის პარლამენტში... საქართველოს დეპუტატი უნდა იქნას გამბედავი მებრძოლი... ის უნდა იქნას დემოკრატი, როგორც საეკონომია, ისე საპოლიტიკო კითხვებში... ბოლოს ის უნდა იქნას მომხრე დეცენტრალიზაციის, პოლიტიკური თვით მართველობისა''.

და ბი, ყველა ამ თვისებით ყოფილა შემკული თ. კიტა აბაშიძე. ევგენი გეგეჭკორი და ჩხეიძე არ ყოფილან არც დამოუკიდებელი წარმომადგენელი, არც გამბედავი მებრძოლი, არც დემოკრატი და სხ. — მხოლოდ კიტა აბაშიძეში მოუკალათებია ყველა ამ თვისებებს კარგი იყო დაესახელებია ბ. გ. მ. სად, როდის და რაში გამოიჩინა კიტამ ყველა ეს თვისებები? ჩვენ გადაჭრით ვამბობთ ბ. კიტ. აბაშიძეს არასოდეს არ უმოღვაწია პოლიტიკურ ასპარეზზე, არასოდეს არ დაუწერია ერთი აღნიშვნის ღირსი პოლიტიკური წერილიც კი. ის მუდამ თფილ ადგილებს ეკედლებოდა, მსახურობდა საკანტროლო პალატაში, ეს გადასცვალა მეტ ჯამაგირიან ადგილზე ჭიათურაში, ისე როგორც ვლ. მიქელაძე პატარა ჯამაგირიან ადგილს დიდ ჯამაგირიანზე სცვლიდა. ამ ორ თავადს შორის ის განსხვავებაა, რომ მიქელაძე პირდაპირ ამბობს — არ ვიბრძოლებო, აბაშიძის მომხრენი კი ფარისევლობენ — კიტა დიდი მებრძოლიაო!, კიტა და მებრძოლი, კიტა და დემოკრატი! წაიკითხეთ მისი კრიტიკული ეტიუდები, თუ სადმე ნახოთ ბრძოლის და დემოკრატიის ნასახიც კი. კაცი, რომელმაც ლიტერატურული კრიტიკა მეგობრების ქებაზე დაახურდავა, რომელიც ეტრფოდა ბრუნეტიერის მიერ წამოყენებულ თეორიას მეცნიერება გაკოტრდაო, მუდამ ეძლეოდა და აქებდა პესიმიზმს, ერთი სიტყვით ბრძოლას და დემოკრატიის მუდმივი უარის მყოფელი — ახლა კანდიდატად გამოყავთ და ბრძოლის და დემოკრატობის დიპლომს აძლევენ! რა არ ს ამ თვალთმაქცობის მიზეზი? მიზეზია ის, რომ კიტა აბაშიძე საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მომხრეა და მის მომხრეებსა; მარტო ეს აინტერესებს. სხვა ყველა ლამაზ სიტყვებია — ეს დაპირებული მზითევია, რასაც ჯვრის წერის შემდეგ არასოდეს არ იხდიან ხოლმე.

ჩვენ არ ვემხრობით ასეთ ავტონომიას; რატომ — ეს გარკვეული იყო დაწვრილებით ,,ძველ და ახალში''. ეს იყო ჩვენი პლატფორმა ნაციონალურ კითხვაში და იმის მაგიერ, რომ ბ. გ. მ. ის დაერღვია, ე. ი. საარჩევნო პლატფორმაზე ელაპარაკა — ტრაბახობით და ფრაზებით გაგვაბრუა.

სიტყვების დრო კაი ხანია წავიდა. დად-

გა საქმეთა დრო. საქმე გეგეჭკორის და ჩხეიძის დანახულია, ის გამოფენილია, ხოლო კიტა აბაშიძის საქმე, საქმე პოლიტიკური, ჯერ არც ვისმეს უნახავს და არც სმენია. პირველთა მომხრეები მოედანზე დგანან თავისი პლატფორმით და პოლიტიკური საქმეებით. აბაშიძეს მომხრენი საარჩევნო მოიდანზე მიძვრებმოძვრებიან და ლამიან კონტრაბანდათ გაძვრინონ თავისი კანდიდატი, უსიტყვოთ, უპლატფორმოთ, ცარიელი ფრაზებით და სიტყვის ბანზე აგდებით.

კიტა აბაშიძე და მებრძოლი დეპუტატი! დაუჯერეთ, ბ-ბო, პოეტს, როცა ამბობს:

არა მართებს ყვავსა ვარდი, ვირსა რქანი...

პ რ ე ს ა.

უცნაური ამბავი დატრიალდა ,,კოლხიდაში''. გაზეთმა შაბათის ნომერში თავისივე კანდიდატი გაწკეპლა. არ გჯერათ? აი როგორ მოხდა ეს ამბავი.

ჩვენ ვამბობდით, რომ კიტა აბაშიძე რეაქციონერი კრიტიკოსის ბრიუნეტიერის მიმდევარია და მაშასადამე, დემოკრატიის სრული უარის მყოფელი. ამის პასუხათ ,,კოლხიდა'' სწერს:

,,მართალია ერთ დროს ის ამ მწერლის მოძღვრებას თითქმის სავსებით იზიარებდა, თუმცა ეს მისი პირველი ლიტერატურული ნაბიჯი იყო. მაგრამ განა პირველათ ვიკტორ ჰიუგო კონსერვატორი არ იყო?.. კაცის მიმართულება ცვალებადია და პროგრესიც ეს ცვალებადობა არის. კიტა აბაშიძეს ვიცნობთ, როგორც უკანასკნელ ნაწარმოებთა ავტორს. გადაიკითხეთ მისი ნაწერები ჩვენი და უცხო მწერლების შესახებ და დარწმუნდებით, რომ მას ბრუნეტიერთან **საერთო აღარაფერი აქვს**''.

როგორც ხედავთ, კიტა პირველათ ყოფილა ბრიუნეტიერის მომხრე, მარა მერე შეუცვლია ეს აზრი და მასთან კავშირი გაუწყვეტია. მართალია ეს უკანასკნელი მტკიცება? რასაკვირელია, არა. კიტა აბაშიძეს არასოდეს არ გამოუცხადებია ბრიუნეტიერთან კავშირი გავწყვიტეო, არასოდეს უარი არ უყვია ამ მწერლისათვის. რა შედარებაა მისი ვიკტორ ჰიუგოსთან და სხვა დიდ ბუნებოვან პირებთან, რომელთაც საქვეყნოთ უარყვეს თავისი წინანდელი შეცდომები და შეუდგენ მოწინავე აზრებისათვის ბრძოლას. სად კიტა და სად ვიკტორ ჰიუგო! კიტა აბაშიძე არა თუ არ ჩამოსთხოვია ბრიუნეტიერს, პირ-იქით ჩვენ გადაჭრით ვამტკიცებთ, რომ ის ახლაც მისი შკოლის კრიტიკოსია. ამას მოწმობს თვით კიტა აბაშიძე სწორეთ მის უკანასკნელ ნაწერებში. აიღეთ მისი ,,ეტიუდების'' მეორე ტომი, გადაშალეთ მე-40 გვერდი და წაიკითხეთ შემდეგი:

„ფრანგი კრიტიკოსი ბრიუნეტიერი, რომლის კრიტიკული **მეთოდით ვხელმძღვანელობდით** ჩვენს ეტიუდებში, ამბობს" და სხ. ახლა მითხარით, რას ნიშნავს ეს თუ არა ბრიუნეტიერის მიმდევრობას? მეთოდი ყოველივე მწერლის სული და გულია, ამ სულ და გულს ბრიუნეტიერისას იზიარებს კიტა, მისი თვალთხედვის ისრით ხელმძღვანელობს ჩვენ მწერალთა დაფასებაში, რის შედეგია ყველა ჩვენი დემოკრატი მწერლების მის მიერ ჩაწიხლვა, მაგ. გიორგი წერეთლის, ეგნატე ნინოშვილის და სხ. (იხ. ეტიუდების მეორე ტომი გვ. 38-ან). და აი ახლა გამომდგარან „კოლხიდელები" დი ურცხვათ აცხადებენ: კიტას აღარაფერი საერთო აქვს ბრიუნეტიერთანო! გვაკმარეთ, ამდენი ტყუილები! ასეთი ფანდებით ვერ დაფარავთ კიტა აბაშიძის რეაქციონურ სულის კვეთებას. დადგა დრო მას მოეთხოვოს პასუხი და თუ რამე სათქმელი აქვს თავის გასამართლებელი, გვითხრას.

— ვიმეორებთ, კიტა აბაშიძე წინააღმდეგია დემოკრატიის, ის შეგირდია რეაქციონერი ბრიუნეტიერის და დევნის თავის ეტიუდებში ყველა ნამდვილ დემოკრატთ, (გ. წერეთელს. ეგნატე ნინოშვილს დე სხ.).

ვიწოდებთ „კოლხიდელთ" დაამტკიცონ წინააღმდეგი.

საარჩევნო ფელეტონი.

ვინ ავირჩიოთ?!

მოქმედი პირი: მე.

სტენა წარმოადგენს ჩემს ოთახს. ფარდა რომ აიხდება შემოვდივარ მე.

მე (ადელვებით) უჰ! რა ჭირში ჩავარდი! სწორეთ აღარ ვიცი, ვინ ავირჩიო? გეგეკორს არ ვირჩევ—გადაწყდა; დარჩენ: ვლადიმერ მიქელაძე და კიტა აბაშიძე... ამ ორში რომელი?.. რომელი? (თითებზე ვარჩევ) ალხოს, მალხოს, ჩიტმა გნახოს, ზენი ფესვი, ფესმანდური... (უცებ შეეჩერდება) არა, არ შემიძლია! ერთ-ერთს ხომ უნდა შეხვდეს... ვლადიმერს შეხვდება—კიტაზე დამწყდება გული, კიტას შეხვდება და—ვლადიმერზე! ნეტავი ორთავეს არჩევა შეიძლებოდეს! რა კარგი იქნებოდა! კიტა დაიცავდა ზემო-იმერეთის ინტერესებს, ვლადიმერი—ქვემო-იმერეთისას. გურია-სამეგრელო რო რჩება? ეჰ, იმათ ეპისკოპოსიც ეყოფათ! რათ უნდათ დეპუტატი!.. (ბუზზ) ვინ ავირჩიო?.. ავიღოთ ვლადიმერ მიქელაძე, რა შესანიშნავი კაცია! როგორ უყვარს საქართველო! ისე ვერ ახსენებს—ცრემლები არ წასკდეს... სიბრალო! ამას წინათ ქალაქის სიბჭოს დარბაზში შვიდი ცხვირსახოცი დაესველა, როცა მამულის სიყვარულზე ლაპარაკობდა. ,,მე მიყვარს ჩემი ქვეყანა, ჩემი საქართველოო!'' სთქვა და ცრემლები ლაპა-ლუპით გადმოსცვივდა. ,,მე მსურს ბედნიერი საქართველო ბედნიერ რუსეთშიო!''—გენაცვა ვარაყიან სიტყვაში მეთქი, გავიფიქრე მე იმ დროს: მე კი მსურს ბედნიერი ვლადიმერი ბედნიერ რუსეთის პარლამენტში მეთქი!.. მართლაც, რა ბედნიერი იქნება საქართველო ვლადიმერი რომ სათათბიროში გავიდოდეს. ბანკის ჯამაგირი 15 ათასი და დეპუტატობის 4—ეს 19 ათასი. ახლა ბანკის გამოსარჩენს მიუმატე სათათბიროს გამოსარჩენი! ახლა პატივი, ახლა ნაცნობობა! ეჰ, ვლადიმერი გავიდოდეს, თორემ საქართველოს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს! წარმოიდგინეთ დავრდომილი დედა—ღატაკი და დაკუტებული. დე, თითონ ღატაკათ და დავარდომილათ დარჩეს, ოღონდ შვილი იყოს მაძღარი და ბედნიერი, დედას ესეც ეყოფა! დე, საქართველო ბეჩავით და წელ-გატეხილათ დარჩეს, ოღონდ მისი საყვარელი შვილი ვლადიმერი მოეწყოს კარგათ, უდარდელათ და უზრუნველათ, ,,მის პატარა საქართველოს'', ,,მის პატარა ქვეყანას'' ესეც ეყოფა!.. ეს კია რომ... (ჩაფიქრდება) იმ საღამოს, ქალაქის დარბაზში რომ ილაპარაკა, ერთ ადგილას რაღაც ვერ... ვერ ის ქნა... ვერ გამოიყვანა რიგიანათ: ,,ახალი პარტია დავაარსოთო! პროგრესისტების პარტიაო! აი მაქსიმე კოვალევსკი რომ უდგას სათავეში, იმისთანაო!'' ეს ისე მოუვიდა, ერთმა კაცმა რო საათის ცნობა არ იცოდა და საათი კი გულზე ეკიდა დასამშვენებლათ.

— იოსებ, საათი გაქვს?

— როგორ არა!

— რომელი საათია?

— ჰმმმ... აი, გიგოს საათში რომ არის, ის დროა სწორეთ!..

— ვლადიმერ ჩემო, პარტიას აარსებ?

— დიახაც ვაარსებ!

— მოიცა, რა პროგრამა გექნება?

— ჰმმმ... აი მაქსიმე კოვალევსკის პარტიას რომ აქვს, სწორეთ ისეთი...

არა, ვლადიმერს თუ გავაგზავნით, კალისტრატეც თან გავაყოლოთ, მარტო ვერ გაუშვებთ. მე იმას როდი ვამბობ, ვლადიმერი უჭკუო კაცია მეთქი, უჭკუო კაცი განა ,,ვინ ხარ შენ''-ს დასწერდა? არც იმას ვამბობ, კალისტრატეა დიდი ჭკუის პატრონი მეთქი, (თურმე ყველაფერი იცვითება დროთა ვითარების გავლენით), მაგრამ სიფრთხილეს თავი არ ასტკივა, კარგია: ვლადიმერს რო რამე შესცდეს, კალისტრატე გაუსწორებს... მაშ გადაწყდა: ვლადიმერს ვირჩევ, მხოლოდ იმ პირობით, რომ კალისტრატეს წაიყვან თან. თუ არ წაიყვანა? მაშინ, ნურას უკაცრაოთ! კიტას უნდა მივსცე კენჭი! ვინ გაბედავს იმის თქმას, ვლადიმერის მაგიერ კიტას არჩევით

საქართველო წააგებსო! რას წააგებს? კიტას საათიც აქვს და შეტყობაც იცის. არც მამულის სიყვარულში არ ჩამოუვარდება ვლადიმერს. მართალია, ვლადიმერი იძახის, ჩემსავით ძლიერათ არავის უყვარს ჩემი ტანჯული მამული, მაგრამ, როგორც ირკვევა, ის მამულათ კულასში რო მიწა წყალი აქვს, იმას გულისხმობს; კიტამ კი კარგათ იცის თამარ-მეფის დროინდელი საქართველოს საზღვრები და არა თუ ერთ გოჯ მიწას არავის დაუთმობს იმ საზღვრებში, პირიქით—ოღონდ სათათბიროში გავიდეს და არა ერთსა და ორს სახელმწიფოს შემატებს თავის სამშობლოს. თუ ვლადიმერ მიქელაძის დევიზს შეადგენს ,,ბედნიერი საქართველო ბედნიერ რუსეთში'', კიტას დევიზი არის: ,,ბედნიერი (ის სულ-გრძელია და რუსეთზე შურს არ იძიებს) რუსეთი ბედნიერ საქართველოში''. ეს, რა თქმა უნდა, საბოლოო მიზანია, ხოლო სადღეისოთ ისიც კმარა, რუსეთის და საქართველოს ხელშეკრულებას თუ გაანაღდებს და სახელმწიფო სათათბიროში ქართულათ ლაპარაკს დაკანონებს... ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ... (ჩაფიქრდები) დეპუტატი იშოვის კი დროს, რომ კრიტიკული წერილებიც სწეროს? ვეკვობ! მაშ კრიტიკოსი კიტა შევსწიროთ დეპუტატ კიტას? ეგ ყოვლად შეუძლებელია! მართალია დეპუტატის არჩევის უფლება მაქვს, მაგრამ ქართული ლიტერატურის დაღუპის უფლება ჩემთვის არავის მოუცია!.. ამის და გვარათ ვერც კიტას ავირჩევ! ვლადიმერ მიქელაძე—ვერა... ვერც კიტა! მაშ ვინ?. (მცირე ფიქრის შემდეგ) შენ თითონ მიხვდი, მკითხველო!

(ფარდა ჯერ არ ეშვება)

თაგუნა.

ჩვენი დროის დონ-კიხოტი.

ერთხელ „ულმობელს“ ხელთ აღო
„შოლტი“ მაგარი,
ესდეკებისთვის რომ დაეცა
იმით თავ-ზარი,
მაგრამ რამდენსაც მოიქნევდა,
თვითვე ხვდებოდა
და კან ამწვარი, ვით კალია,
მაღლა ხტებოდა;
მას კი ეგონა ესდეკებსა
ტყავსა აძრობდა
და სიხარულით ცას წვდებოდა...
ასე ამბობდა:
,,კოლხიდელთ შორის პირველი ვარ,
არ მყავს ბადალი,
არ დაივიწყებს ჩემს დიად ღვაწლს,
მრწამს, მომავალი''!..
ესდეკები კი ყურს უგდებდენ
და ხარხარებდენ,
კოლხიდის გმირსა დონ-კიხოტსა
რა ადარებდენ.

ყაყლიყო!

სიმღერა.

(მესტვირული)

ისევ სჯობს ხელში ავიღო,
ჩემი ქამანჩა სტვირია;
და ვიღიღინო ნელ-ნელა,
მე ჩემი გასაჭირია.
ვისაც დავენდე ამ ქვეყნად,
ყველამ იბრუნა პირია;
და მე კვლავ ვრჩები ბედ-კრული,
ანაკვნეს—ანატირია.
ისევ შენ ჩემო ქამანჩავ,
ჩემო ნუგეშო სტვიროვო;
ყოველ საქმეში ქებულო,
გმაომდგარ გამოცდილოვო.
შენს მეტს არ ვხედავ თანამგრძნობს,
მიძმევი არ გამწიროვო;
შევაწყოთ ხმები ვიმღეროთ,
სასიყვარულო კილოვო.
აბა დავიწყებ აქედან,
მოვყვები ჩემ სიმღერასა;
შენ ყური უგდე გეთავეა,
ჭაბუკი გულის ძგერასა.
რაც რომ გულში მაქვს ძამია,
შენ გაგიმცხადებ ყველასა;

ეგებ შენ დასდო საზღვარი,
ამდენი ტანჯვის თმენასა.
გაგვიქრა ის დრო რომ იყო,
აიბნა მონასტერია;
გუშინ რომ ძმობას ფიცავდა,
იგი დღეს მოძმის მტერია.
ვინ გნებავს ახლა არ შეგხვდეს,
ერი, ბერი, გინდ მღვდელია;
ყველანი მშრომელს იძახის,
სიტყვით მუშების მცველია.
გარედან ცხვრის ტყავს იფარებს,
შიგნით კი თურმე მგელია;
თუ დიდ-ხანს ასე გაგრძელდა,
ცხოვრება მეტად ძნელია.
ზოგს უნდა თფილი ადგილი,
ქანქრით გაიძღოს გულია;
ზოგს კიდევ მუშის სახელით,
დეპუტატობა სწყურია.
(ზოგი მათგანი ჯვარ-მედლით,
ჩახიმულ-ჩახლართულია);
როს ვხედავ ვინ ვის პატრონობს,
მომიკვდა სწორედ გულია.

—

აი ეს მქონდა ქამანჩავ,
მე შენთან საუბარია;
უკვე გაგაცან დარდები,
გულის მომკვლელი მწარია.
მიძმევი ჩემო კეთილო,
შენ აღარ მითხრა ვარია;
იყავი ჩემი ნუგეში,
სიყრმიდან მეგობარია.
ქვეყნათ ვატაროთ სიმართლე,
სიბრუნდე ვქოლოთ, ძამია;
შრომის სამსხვერპლოს დავდუათ,
ჩვენი სიცოცხლის წამია.
ვიმღეროთ სევდის კილოზე,
არ გავიშავოთ პირია;
ჩვენც ვიზიაროთ ძმობილო,
ჩაგრულის გასაჭირია.

ახ.-ამ. მაიდნელი.

წვრილი მემამულეებთა არჩევანი ლანჩხუთში.

ოთხშაბათს, 19 სექტემბერს დ. ლანჩხუთში **მოხთა წვრილ** მემამულეთა არჩევანი. გამოცხადდა 88 კაცი, რომელსაც უნდა აერჩია 14 რწმუნებული. კრებას თავმჯდომარეობდა გურიაში კარგად „ცნობილი" ბ. **ვასილ** ხუნდაძე. ბ. ხუნდაძე თავმჯდომარე კი არა **ნამდვილ მოპირდაპირე** იყო, მოპირდაპირე ისეთი, **რომლიც** არავითარ საშვალებას არ ერიდებოდა, **ოღონდ** კი დასელების კანდიტატები გაეშავებიათ. მისი კადნიერება და ჯგუფური მიკედლება იქამდის მივიდა, **რომ** ის არ დაერიდა გამოეტოვებია სიიდან ისეთი პირები, რომლებიც **სიაში** შევე **ჩატანილი** იყო, მარა შემჩნეული, როგორც დასელების **მომხრე**. ბევრი დავი-დარაბა დაგვჭირდა, **რომ** ასეთი პირების გვარი სიაში ამოეკითხა და მათთვის ხმის უფლებით სარგებლობის **საშვალება** მიეცა. **მისიანებს ზოგს მოყვრობით ზოგს** ნათესაობით, თავისუფლათ ანავარდება არჩევნთა გარეშემო, მოწინააღმდეგეს კი სიახლოვეს არ იკარებდა, და **თუ ვინმე** ამას შენიშნავდა, „სტრანიკიო" **გაუყვიროდა**.

როცა **ჯერი ყუთების** დადგმაზე მიდგა, **ყომ** იმიზეზა—**საკმაო ყუთები** არ იშოვებაო და 14 ყუთის მაგიერ **მხოლოთ** 7 დადგა. მიზანი ცხადი და აშკარა **იყო**. **არჩევნები** გაჭიანურდება, ამრჩევნი დაიღლებიან, **ბოლომდის** არ დაიცდიან, სახლში წავლენ და **მით მოწინააღმდეგენის** მომხრეთა რიცხვი შემცირდებაო. მარა ბ. ვასილი აქაც მოსტყუვდა. **შინ წასვლას** არავინ ფიქრობდა.

(ეს 7 **ყუთი პირველათ** ბ. კიტა აბაშიძის მომხრეებს **დაუდგეს. დაიწყეს კენჭების** თვლა. აღმოჩნდა, **რომ კანდიტატი** გაშვებულია. **ვასილს** ფერმა **გადასჭკრა. დათვალეს** მეორე—ისიც გაშავებულია. **ვასილმა მოთმინება** დაჰკარგა, და გამოაცხადა რომ **ყუთები** არ ვარგა: თეთრი კენჭი შავ უჯრაში **ვარდება,—ამიტომ ხელ** ახლა, თავიდან ვიწყებ **კენჭის ყრასაო**. დაიწყო კიდეც. ახლა კი ხელათ **14 ყუთი** გაჩნდა. ვასილს წინადადება მისცეს—**თოთხმეტივე** ყუთი ან ერთი სიის კანდიტატებისთვის დაედგა, ან მეორე სიის კანდიდატებისთვის, ვასილმა ეს მისიანებისათვის უხე-

რჩულათ სცნო და თოთხმეტ უუთში არეულათ, მხოლოთ ექვსი კანდიტატი შეურია დასელების სიიდგან. მარა იმედი არც აქ გაუმართლდა ბ. ვასილს. კენჭების დათვლის დროს გამოირკვა, რომ პირველისვე კენჭის ყრის დროს მიუხედავათ უუთების ასეთ არე-დარევისა, დასელებმა გაიყვანეს ექვსიდან — ხუთი კანდიტატი, მოწინააღმდეგებმა კი რვიდან — ერთი ისიც დასელების დახმარებით, რადგან მაინცა და მაინც არც დასელები იყვნენ იმ ერთი კანდიტატის წინააღმდეგი.

მეორე წყება კენჭის ყრის დროს დიდი ხეის უმეტესობით გავდენ დასელების ყველა დანარჩენი კანდიტატები. კიტას მომხრეები კი სასტიკათ დამარცხდენ — ვერც ერთი კანდიტატები ვერ გაიყვანეს. მკითხველი თითონ მიხვდება თუ რა მთაბეჭდილებას ახდენდა კენჭის ყრის ასეთი შედეგი ვასილზე და მის მომხრეებზე. აღსანიშნავია რომ ჩვენმა მოწინააღმდეგენმა რწმუნებულათ სხვათა შორისის ეთი კანდიტატები წამოაყენეს და კენჭი უყარეს, რომლიც ცნობილია მთელ გურიაში, როგორც მარჯვენა ხელი ცნობილი ბოქაულის მიქიაშვილის და ერთგული თანამშრომელი ტოლმაჩევის. ამზერუფს დაბლა დაცემა, პოლიტიკურათ დაკნინება მართლა რომ შეუძლებელია, მარა პოლიტიკური სიფაქიზე ხომ არას დროს არ უოფილა ჩვენი მოწინააღმდეგენის დამამშვენებელი ს მკაული.

არჩეულ იქმნა:

1) პლატონ ტუსკია — 60 თეთრი — 29 შავი.
2) ერმალო ებრალიძე — 57 თბთრი — 19 შავი.
3) ივანე ნიკოლაასშვილი — 55 თეთრი — 20 შავი.
4) დომენტი ტუსკია — 55 თეთრი — 20 შავი.
5) დავით იმნაშვილი — 55 თეთრი — 22 შავი.
6) სიმონ ურატაძე — 54 თეთრი — 20 შავი.
7) დომენტი ჭყონია — 54 თეთრი — 23 შავი.
8) ვალერიან ჭყონია — 52თეთრი — 37 შავი.
9) გიორგი ებრალიძე — 50 თეთრი — 40 შავი.
10 მელიტონ კვირკველია — 50თეთრი 26 შავი.
11) იოსებ ორაგველიძე — 48 თ. — 39 შავი.
12) ხარიტონ მგელაძე — 46 თ. — 28 შავი.
13) ელისე ჭყონია — 50 თ. — 38 შავი.
14) მღ. ივანე გოგიბაიშვილი — 45 თ. — 30 შ.

ამ რიგათ გუბეჭკორის მომხრეთა სიიდან 14 რწმუნებული გავიდა 12. მეცამეტეს, რომელიც მოწინააღმდეგეთა სიაში იყო, ჩვენებსაც მისცეს ხმა. ხოლო მეთოთხმეტეს ქონდა იმდენი შავი და თეთრი, რამდენიც ერთ-ერთ კანდიდატს დასელების სიიდან, მარა თავმჯდომარის უფლებით ამ ორ თანასწორ კანდიდატთა შორის რწმუნებულება მოწინააღმდეგეთა სიის კანდიდატს ხვდა წილათ.

გაშავდენ:

დიმიტრი გიგოხეიშვილი — 44 თეთრი — 44 შავი
გიორგი გიგინეიშვილი — 30 თ. — 42 შ.
მირიან გიგინეიშვილი — 54 თ. — 44 შ.
არტემ სალვაში — 28 თ. — 60 შ.
სოლომონ ებრალიძე — 38 თ. — 44 შ.
კოწია ბეს. ჭყონია — 44 თ. 47 შ.
ნიკო ესაჯისძე ჭყონია — 37 თ. — 40 შ.
ივანე კუკულაძე — 32 თ. — 57 შ.
კოწია ნიკ. ჭყონია — 23 თ. — 51 შ.
ივანე ზენაშვილი — 42 თ. — 32 შ.
ესებ ზენაშვილი — 40 თ. — 35 შ.
არ. ჭყონია — 37 თ. — 44 შ.

ეს 14 არჩეული რწმუნებული 28 ამთვეს შეუერთდება გურიის მსხვილ მემამულებს და აირჩევენ ვიბორჩიკს.

დამსწრე.

ნ ა მ უ ს ი?

—

თავის ქება თავის მტვრევაა, გაგონილა, მარა „კოლხიდის" ბელადები ასეთ თავის მტვრევას არ ერიდებიან და რომ თავის ძალა გაბერონ, გააზვიადონ, ტყუილების გოდრით უმასპინძლდებიან თავის დაბრიყვებულ მკითხველებს.

ასეთი ტყვილები შეთხზეს და გამოამზეურეს მათ 16 ეკენისთვეს ქუთაისში მომხდარ წვრილ მემამულეთა სიეზდის შესახებ.

„16 სექტემბერს არა ეროვნული ჯგუფის გამარჯვება შემთხვევითი იყო. აქ საჭიროთ არ მიმაჩნია გარემოების დაწვრილებით აღნიშვნა, ვიტყვი მხოლოდ, რომ ეროვნულ-დემოკრატიულ ჯგუფს შეეძლო, რვა რწმუნებულის ნაცვლათ თუთხმეტის გაყვანა".

ვის ატყვილებენ ამით? თავის თავს, თუ საბრალო მკითხველს? საქმე ნამდვილად ასე იყო: წამოყენებულ იქნა მხოლოდ ორი სია: მიქელაძისტების და მემარცხენეების. ,,კოლხიდა სახალხოელთა" წარმომადგენლებმა თავის კანდიდატების წამოყენებაზე უარი განაცხადეს და მემარცხენეთ დაპირდენ—თქვენ მოგცემთ ხმას, თუ ვლ. მიქელაძის წინააღმდეგი იქნებით. და ამ დახმარებისთვის მათ სიაში შეტანაც არავისი მოუთხოვიათ. როცა მათ სთხოვეს, აბა ვინ არიან თქვენები მოიყვანეთო, მათ განაცხადეს, რა ვქნათ არ მოვიდენ და ზოგიც წავიდენო. ამნაირათ ისინი თვითვე გრძნობდენ თავის სისუსტეს და უერთდებოდენ მემარცხენეთ. მხოლოდ შემდეგ, როცა მემარცხენეთა სიებიდან რამდენიმე პირი ამოშალა თავმჯდომარემ და მისი შეკრება დამსწრეთაგან არც ისე ადვილი იყო, ,,სახალხოელთ" წარმომადგენლებმა განაცხადეს, ჩვენ მოგცემთ რამდენიმე კანდიდატს, მარა არ გაგვიშავოთო. ჩვენც მათი კანდიდატები მივიღეთ, რადგან დასახლება დაუყონებლივ იყო საჭირო. ასე შევიდა ჩვენს სიაში მათი 4 კანდიდატი და არჩეულ იქნა კიდეც.

ახლა თვით მკითხველმა გასაჯოს—საიდან გამოახტუნა ,,კოლხიდამ" ეს 8 კანდიდატი, ან საიდან გონია, რომ 15-ის გაყვანა შეეძლო? ან რათ გონია, რომ მემარცხენენი, მარტონი ვლ. მიქელაძეზე უფრო სუსტი იყვენ? სადა აქვს მას ამის საბუთი?

თუ ახლა, როცა სხვის ცეცხლზე ხელი მოითბეს, ზედ წყლის დასხმას ფიქრობენ და თან ტრაბახობენ, შეშა ჩვენი იყოვო?

რას ნიშნავს ეს ტრაბახი? ან სად არიან ისინი, ვინც გარემოება იცის, როგორ იყო? რათ არ უარყოფენ ამ ჭორს, რომელსაც მათ ზურგს უკან ბეჭდვითი სიტყვის საშვალებით ავრცელებს მათი თანამოაზრენი. ეს ჭორი სამშაბათს დაისტამბა და მას შემდეგ ვგონებ საკმაო დრო გავიდა!

ნათქვამია, ,,ნამუსიც კარგი საქონელიაო" და ნუ თუ ეს უბრალო ჭეშმარიტებაც დაავიწყდა ,,კოლხიდის" ჯგუფს და მათ ამყოლ-დამყოლთ?

რა იყო—ან ხმის მიცემა, ან ასეთი განგაში, დავილუპეთ არა ეროვნულ ჯგუფმა გაიმარჯვაო. სანამდი უნდა ასეთი ორპირობა გაინაგრძონ? ჩვენ გაცაჭრით მოვითხოვთ იმ პირებიდან, რომელნიც პირდაპირ ერიენ ამ საქმეში, თუ ჯგუფის სახელით ლაპარაკობდენ, იმავე ჯგუფის ორგანოში მოთავსებული ჭორები უარყონ და ასე ორპირობა დაგმონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებით, ისინიც უპირულ, თაღლით ადამიანებათ ჩავთვალოთ და მათი ჯგუფი პოლიტიკურ ავანტურისტების ჯგუფათ.

ერთი ამრჩეველთაგანი.

ბიბლიოგრაფია.

ბაქოში დაიბეჭდა რუსული წიგნი ამ სათაურით ,,Кавказскіе Депутаты въ 3-ей Гос. Думѣ" („კავკასიის დეპუტატები მესამე დუმაში") წიგნი შეიცავს მეტად საინტერესო ცნობებს კავკასიის დეპუტატების შესახებ. ცნობები ამოკრებილია სტენოგრაფიული ანგარიშებიდან და დალაგებულია სამ დარგათ: პირველი შეიცავს სათათბიროს მოღვაწეობას ფინანსიურ კითხვებში, მეორე—კანონ პროექტებს, მესამე შეკითხვებს. აქ დაწვრილებით განხილულია კავკასიის დეპუტატების გამოსვლები შემდეგი კითხვების განხილვის დროს: მესამე დუმის დასაწყისი, ხარჯთ-აღრიცხვა, სამინისტროთა მოქმედების განხილვა ხარჯთ-აღრიცხვასთან ერთად, კანონ-პროექტები და სხვა. განსაკუთრებითი ყურადღებაა მიქცეული ჩხეიძის და გეგეჭკორის სიტყვებზე. წიგნი მიუცილებელი საჭიროებაა ყველა იმათთვის, ვისაც აინტერესებს დუმის საქმეები და არჩევნები. წიგნის წამკითხავი აშკარად დაინახავს, რომ ხალხის ყველა ინტერესების დამცველი და მებრძოლი ყოფილან ქართველი დეპუტატები. და ეს მტკიცდება არა ცარიელი სიტყვებით და ავტორის ქებით, არამედ სტენოგრაფიული ანგარიშებიდან ამოღებული ფაქტებით. აქ დაწვრილებით მოთხრობილია აგრეთვე ჩვენი დეპუტატების მოღვაწეობა დროებით ვალდებულთა მოსპობის საქმეში.

ერთი სიტყვით წიგნი მეტად საინტერესოა

არის შედგენილი და ვწუხვართ რომ ის ქართულთაც არ არის, რომ ფართე მასამ გაიცნას დაწვრილებით გეგეჭკორ-ჩხეიძის ნაყოფიერი და ერთგული მუშაობა,

წიგნი შეიცავს 237 გვ: და ღირს ათი შაური; იყიდება ქუთაისშიაც, „იმერეთის" მაღაზიაში:

ხემნიცის პარტეიტაგი.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

15 სექტემბერს გაიხსნა ქალაქ ხემნიცში ჩვეულებრივი წლიური პარტიეტაგი გერმანიის მუშათა პარტიისა. პარტეიტაგი გაეცნო მიმდინარე წლის მუშაობას და გამოიმუშავა მომავალი სამოქმედო გეგმა. ბევრ საინტერესო კითხვათა შორის პარტეიტაგის ყურადღება უფრო ორ კითხვამ მიიპყრო. ეს კითხვები იყო: ორგანიზაციული კითხვა და იანვარის არჩევნები რეიხსტაგში.

პარტიას შეუძლია სიამაყით გადახედოს გასული წლის ნამუშევარს. წელს მის წევრთა რიცხვი თითქმის მილიონამდე ადის. სახელდობრ მაში ირიცხება 970,112 წევრი, ამათ შორის 130,371 ქალია. ერთ წელიწადში პარტიას 133,550 წევრი მოემატა. დღეს მას 86 დღიური გაზეთი აქვს და მილიონ ნახევარი ხელის მომწერი ყავს პრესას ხელის მოწერიდან შემოაქვს 8.888,834 მარკა, განცხადებებიდან 6.830,496 მარკა, სულ კი 15.719,330 მარკა. (მარკა ორ აბაზს უდრის დაახლოვებით) გერმანიის მუშათა პარტიის სიძლიერე, მისი დღითი დღე ზრდა და წინსვლა, მეტადრე მისი ერთსულოვანი მოქმედება თავზარს სცემს არა მარტო გერმანიის, არამედ მთელ ევროპის გაბატონებულ კლასებს.

პარტია იზრდება, მრავლდება, მისი მოთხოვნილება ათას ნაირი ხდება. ყველა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ყურადღება ექცევა. რამდენათ კი ორგანიზმი დიდი და მრავალ რ-ცხოვანია, იმდენათ მისი მოვლა-პატრონობა არა ადვილია. გერმანიის მუშათა პარტია ცნობილია, როგორც მასიური, დემოკრატიულ პრინციპზე აგებული პარტია. მისი სიძლიერე უმთავრესათ ამ მასიური და დემოკრატიული ხასიათისაგან არის დამოკიდებული. ამიტომაცაა რომ იგი მუდამ იმის ცდაშია, რომ ეს მასიურ-დემოკრატიული ხასიათი არ დაკარგოს. ეს ცდა ხემნიცის პარტეიტაგზე გამოიხატა ორგანიზაციულ კითხვის გადაწყვეტაში.

თუ დღემდის გერმანიის მუშათა პარტიის საქმეებს მისი ცენტრალური კომიტეტი განაგებდა და სწყვეტდა, დღეს ცენტრალურ კომიტეტს სათათბიროთ, მრჩეველათ კიდევ ყველა დიდრონ პროვინციების წარმომადგენელთაგან შემდგარი „პარტიული კომიტეტი" ემატება. თუმცა პარტიის ცენტრალური კომიტეტი შესდგება საუკეთესო ძალებისაგან, თუმცა აქ იმყოფება მისი საუკეთესო მუშათა ინტელიგენცია, მაგრამ მისი მოთხოვნილებანი და საჭიროებანი მეტათ გაიზარდენ და გართულდენ და ყველა ამის დაკმაყოფილება არა ადვილია.

წარმოვიდგინოთ, რომ გერმანიაში ნწყება რამე დიადი მასიური მოძრაობა. რომ მთელი სახელმწიფოს მოძრაობას უხელმძღვანელო, არ კმარა რომ ბერლინში იყო და იქ დირექტივებს სცემდე. არც ის კმარა, რომ ცენტრალურ გამგეობაში ისეთი გამჭრიახი და მუშათა ფსიხოლოგიის შეუდარებელი მცოდნე პიროვნები იყვენ, როგორნიც არიან, მაგალითათ, ბებელი და შაიდემანი. საჭიროა ამავე დროს ცენტრალური კომიტეტი დაწვრილებით იცნობდეს მასის მამამძრავებელ ფაქტორს, მის ბრძოლის სურვილს, მის გადაწყვეტილებას, რომ შესაძლებელი გახდეს შეუცდომლათ, დაბეჯითებით მასიურ მოძრაობიდან ცენტრალურმა კომიტეტმა ეს—თუ ის დასკვნები გააკეთოს და მასაში შესაფერი ლოზუნგები გადისროლოს.

თუ პარტიის უმთავრესი ინსტანციას სურს მასიურ მოძრაობას არ უყუროს და ეს უკანასკნელი ხელოვნურათ შეჰქმნას, ეს ისეთი არა სასურველი მოვლენა იქნება, როგორც ის, თუ პარტიის წინამძღოლნი მუშათა მო-

ძრაობას ალღოს ვერ აუღებენ და უკან ჩამორჩებიან. ხალხური მოძრაობა ხელოვნურათ არ იქნება, მას მხოლოთ ცხოვრების ესა თუ ის ღრმა პირობები ქმნიან. წინამძღოლთა ვალდებულება კი იმაში გამოიხატება, რომ მათ ამ პირობებით შექმნილნი შეუგნებელი პროცესი შეგნებულათ აქციონ. ამიტომაც ათასჯერ არა მართალი იყო ზოგიერთთა საყვედური ცენტრალური გამგეობისადმი ინიციატივის უქონლობა არ გაქვთო. ცენტრალურ კომიტეტმა გააკეთა ის, რის გაკეთებაც შეეძლო და მას პარტეიტაგმაც ერთსულოვანი ნდობა გამოუცხადა იმისათვისაც, რომ მან არ მოინდომა იმის გაკეთება, რის გაკეთებაც არ ძალუძდა.

ხემნიცის პარტეიტაგმა მიიღო შარშანდელ იენის პარტეიტაგზე არჩეულ კომისიისაგან და ცენტრალურ გამგეობისაგან გამომუშავებული პროექტი. ამ პროექტის ძალით არსდება პარტიული ახალი დაწესებულება, რომელსაც ,,პარტიული კომიტეტი'' ქვია. ამ კომიტეტს შეადგენენ ყველა დიდრონ პროვინციათა წარმომადგენელნი. ამ კომიტეტს ცენტრალური კომიტეტი იწვევს ყოველივე სამ თვეში, ან და, რომელიმე რთულ—სერიოზულ კითხვის გადაწყვეტის დროს. თუ ცენტრალურ კომიტეტის და ,,პარტიის კომიტეტის'' შორის ხთება კონფლიკტი და პირველს არ უნდა მოიწვიოს მეორე, ის უნდა იქმნას მოწვეული, თუ კი მისი უმრავლესობა ამას გადაწყვეტს. ,,პარტიული ქომიტეტი'' აძლევს ცენტრალურ კომიტეტს არჩევას, ის მას იცნობს ადგილობრივ მდგომარეობას. ცენტრალური კომიტეტი ხთება ამნაირათ შეკავშირებული მასასთან, მან იცის ამ უკანასკნელის სურვილი, მისწრაფება. ცენტრალური კომიტეტი კი ხელმძღვანელობს პარტიას, და მის წინაშე პასუხისმგებელია.

მომხსენებლათ იანვარის არჩევნებზე რეიხსტაგში შაიდემანი, გერმანიის სოც.-დემოკრატიის მეორე ბებელი, გამოვიდა. მკითხველს ალბათ ეხსომება გერმანიის ს.-დემოკრატიის დიადი გამარჯვება ამ წლის იანვრის არჩევნებში. ამ არჩევნებმა მთელი ევროპის ყურადღება მიიპყრო და ის უსათუოდ სათანადო ადგილს დაიჭერს გერმანიის მუშათა პარტიის ისტორიაში.

ის ტაქტიკა, რომელიც აწარმოვა ცენტრალურმა გამგეობამ არჩევნების დროს პარტიის ,,მემარცხენე ფრთას'' არ მოსწონდა, ისინი მას აკრიტიკებდენ. ამ კრიტიკას პარტეიტაგზეც ქონდა ადგილი.

ჯერ კიდევ შარშან იენის პარტეიტაგზე პარტიამ გამოიტანა გადაწყვეტილება ლიბერალებთან დამოკიდებულებაზე. ამ გადაწყვეტილების ძალით ლიბერალებს ესმებოდა განსაზღვრული პირობები; თუ ლიბერალები ამ პირობების შესრულებას აღუთქვამდენ ს.-დემოკრატიას, ის მხარს დაუჭერდა ლიბერალებს მემარჯვენეებთან ბრძოლაში. ამ პოლიტიკის ერთათ ერთი მიზანი შავ-ლურჯი ბლოკის დაშლა იყო. ეს პოლიტიკა აწარმოვა პარტიამ არჩევნების დროს. არჩევნების პირველ დღეს 12 იანვარს, პარტიამ გაიყვანა 64 დეპუტატი და მიიღო ოთხი და ერთი მეოთხედი მილიონი ხმა. გერმანიაში რომ პროპორციონალური სისტემა არსებობდეს, ოთხი და ერთი მეოთხედი მილიონის ხმით 138 დეპუტატი ყოლებოდათ რეიხსტაგში არჩეული. მემარჯვენე პარტიათა კოალიციამ მიიღო $3^3/_4$ მილიონი ხმა, ესე იგი 400,000 ხმით ნაკლები, ვიდრე ს. დემოკრატიამ და გავიდა კი 116 მათი დეპუტატი. ლიბერალებმა ყველამ ერთად მიიღეს $3^1/_4$ მილიონი ხმა, გაიყვანეს კი ოთხი დეპუტატი. აი ნიმუში უვარგისი საარჩევნო კანონთა სიდუხჭირისა. უდიდესმა ნაწილმა კერმანიის მოქალაქეთა მემარცხენეებს მისცა ხმა, ესე იგი მათ უნდოდათ მემარჯვენეთა თარეშისაგან თავისუფალი და მემარცხენეთაგან შემდგარი რეიხსტაგი. ხალხის სურვილი ვერ ასრულდა, მას წინ საარჩევნო კანონთა უვარგისობა გადაეღობა.

პირველი დღის არჩევნებს დამატებითი არჩევნები უნდა მოჰყოლოდა. აი ამ დამატებითი არჩევნების დროს ს. დემოკრატია შეუთანხმდა თავისუფალ მოაზრეთ. ამ შეთანხმე-

პის მიზანი იყო მემარცხენეთა დეპუტატების რაც შეიძლება მეტი რიცხვის გაყვანა რეიხსტაგში. ს. დემოკრატია შეეცადა ხალხის ის სურვილი, რომელიც პირველი დღის არჩევნებში გამოიხატა, სისრულეში. მოეყვანა. რეაქტია თავის მხრით იმის ცდაში იყო, რომ ყოველნაირი საშვალება ეხმარა და მემარცხენეთა შორის რამე თთანხმოება ჩამოეგდო; ამ მიზნის მისაღწევათ ის ლიბერალებს ხან ემუქრებოდა, ხან დიდ რამეს პირდებოდა, ათას ნაირათ სათსთბიროთ იწვევდა. ს. დემოკრატია კი იმის ცდაში იყო, რომ ლიბერალიზმი მემარჯვენეთა ბანაკში არ გადასულიყო, რომ ის პირველი დღეს ს. დემოკრატიის გამარჯვებით არ დამფრთხალიყო და ამნაირათ შარ-ლურჯი ბლოკი დაემსხვრია.

აი ასეთ რთულ პირობებში დაიწყო ს. დემოკრატიის და თავისუფალ მოაზრეთა შორის მოლაპარაკება შეთანხმებაზე დამატებითი არჩევნების დროს. თავისუფალ მოაზრეთა ხელმძღვანელმა ინსტანციამ გასწყვიტა ყოველი კავშირი მემარჯვენეებთან და აღუთქვა ს. დემოკრატიას მხარის დაჭერა ბევრ ადგილებში, სამაგიეროთ მოითხოვა, რომ 16 ადგილას, სადაც თავისუფალ მოაზრეს და ს. დემოკრატის შორის იყო ბრძოლა იყო და სადაც ს. დემოკრატის გასვლის იმედი არ იყო, ს. დემოკრატიას თავისი კანდიდატურა მოეხსნა. ამ წინადადებაზე მათ გადაჭრილი უარი მიიღეს უკანასკვნელი წინადადება გამოიხატა იმაში, რომ თუ ს. დემოკრატია კანდიდატურას არ მოხსნიდა, დამატებით არჩევნების დროს კრებები მაინც არ გაემართა და ფურცლები არ გამოეშვა. ამ არა ჩვეულებრივ კომპრომისს დასთანხმდა ს. დემოკრატიის ცენტრალური გამგეობა. არა ჩვეულებრივმა პირობებმა აიძულა ის არა ჩვეულებრივ საშვალებისათვინ მიემართა. აი სწორედ ამ კომპრომისის წინააღმდეგ მიდიოდა ბევრი პარტიის წევრი. შაიდემანმა პარტეიტაგს გააცნო ის პოლიტიკური მდგომარეობა და პირობები, რამაც გამოიწვია ეს კომპრომისი; მან თან დასძინა, რომ ჩვენ სულ განსაკუთრებულ პოლიტიკურ მდგომარეობაში ვიმყოფებოდით და ამან გამოიწვია ეს კომპრომისიო. და რადგანაც ასეთ მდგომარეობას აღარ ექნება ადგილი მომავალში, არც ასეთი კომპრომისია აწი შესაძლებელიო. პარტეიტაგი ყმაყოფილი დარჩა შაიდემანის განმარტებით.

ბურჟუაზიული პრესა. დიდ აყალ მაყალს მოეწოდა ხემნიცის პარტეიტაგზე, მაგრამ ის მოსტყუვდა. არავითარი აყალ-მაყალი აქ არ ყოფილა. აქ გერმანიის მუშათა პარტიაში ჩვეულებრივი კილო სუფევდა. მათ ინტერესებათ საქმე, პირად კინკლაობას ყურადღება არ ექცეოდა. იყო კრიტიკა, იყო აზრთა შეხლა-შემოხლა მაგრამ ყოველისფერი ძმურათ და ამხანაგურათ ხთებოდა. ეს ძმობა და პარტიის მთლიანობა გამოიხატა ცალ-ცალკე ფრაქციული კონფერენციების მოწყობის უარ ყოფაში.

რამოდენიმე კვირის წინეთ, ვიდრე პარტეიტაგი დაიწყებოდა ქ. ეიზენანში შეიკრიბა 30 კაცამდე და გამართეს მოლაპარაკება თუ როგორ დაეჭირა თავი ამა თუ იმ კითხვის გადაჭრაში მომავალ ხემნიცის პარტეიტაგზე. პარტიამ განურჩევლათ მიმართულებისა ეს ნაბიჯი არ მოიწონა. ბევრმა ორგანიზაციებმა ამნაირ ფრაქციულ კონფერენციების მოწყობაში დაინახეს ტენდენცია განხეთქილებისადმი და დაჰგმეს ასეთი კონფერენცია. არ მგონია რომ ვინმე შეცდს და იფიქროს, რომ ამ კონფერენციას ეზენახში რამე საშინელება მოეხდინოს. შემცდარი აზრი იქნება თუ ვინმე იფიქრებს, რომ ამ კონფერენციამ მიითვისა გერმანიის პარტიის სახელი, გამოაცხადა თავისთავი უმაღლეს ინსტანციათ, გამოაძევა პარტიიდან ყველა სხვა წევრები და შეეცადა შეგნებულათ მუშათა მოძრაობის დაქსაქსვას. არა და ათასჯერ არა. ეს გემანიაში მოუხერხებელია, ამას იქ ვერვინ გაბედავს. მასიური ორგანიზაციის სიძლიერე იქ ისეთია, რომ მასთან ხუმრობა შეუძლებელია. ამნაირი რამე შესაძლებელია, მიგალითიდ, რუსეთში მოხდეს; ევროპაში და მეტადრე ეს გერმანიაში კი წარმოუდგენელია.

გერმანიის პარტიაში არის აზრთა სხვადა-

სხვაობა, არის სხვადასხვა მიმდინარეობა. გამრამ ეს აზრთა სხვადასხვაობა არასოდეს ისე შორს არ მიდის, რომ პარტიის პრაქტიკული მოქმედება ამით ფერხდებოდეს. რაც უნდა აზრთა სხვადასხვაობა იყოს როცა მოდის დრო მოქმედებისა, მტერზე იერიშის მიტანისა, ან მისი მოგერებისა, ყველა ერთად გამოდის, ყველა ერთად მოქედებს, ყველას ერთმანეთთან ბრძოლა ავიწყდება და მთელ თავის ენერგიას მტერთან ბრძოლას ახმარებენ. ერთმანეთის კრიტიკას ყოველთვის მოვესწრობით, მტერზე კი ყპლავე უნდა იერის მიტანაო. და და ხშარათ ის რაც აბსტრაქტიულათ, თეორეტიულათ დიდი განსხვავებათ იხატებოდა, ერთ სულოვან ბრძოლის პროცესში განსხვავებანი მინი მუმადი ჩამოდის. თუ სხოლასტიკა ხშირათ აბრმავებდა და აფანტიკებდა, მოქმედება, ბრძოლა ერთი მიზნისკენ მისწრაფება ერთი მეორესთან აკავშირებდა და ძმურ განწყობილებას აგდებდა. დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ თუ გერმანიის პარტიაში რევიზიონიზმი ისტორიას ბარდება, ამაში დიდი როლი ითამაშა პარტიაში კარგმა განწყობილებამ. რევიზიონიზმს ობიექტურათ ეკარგება ნიადაგი, ორტოდოქსები ხედავენ ამას, ამხანაგურათ, ძმურათ მუშაობენ მათთან, ითრევენ მათ ყოველივე დღიურ ბრძოლაში და მათთან ერთათ აწარმოვებენ კლასსიურ პოლიტიკას. ამხანაგობით, კარგი განწყობილებით ყოველთვის უფრო გააკეთებ საქმეს.

ვიმეორებ, ხედავ ყველა ამას და მოგდის შური. რატომ? რატომ გერმანიაში არის ეს ასე და არა სხვაგანაც? რატომ უნდა ვჭამდეთ ერთმანეთს? რატომ უნდა ვახარებდეთ ჩვენ მოწინაალმდეგეებს? რატომ მტრის წინაალმდეგ ერთათ არ უნდა გამოვდიოდეთ?

კ. გ.

შეკითხვა.

სენაკის მაზრის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ბ. ირ. თოფურიძეს.

19 თებერვალს მოხდა წვრილი მემამულეების არჩევნები ბანძისა და მარტვილის საბოქაულოში. ბანძის საბოქაულოდან სხვათა შორის რწმუნებულათ გავიდა გიორგი ჩიჩუა. ეს მეტათ საკვირველი ამბავია. გიორგი ჩიჩუა სხვილი მემამულეა. მარა ის სხვილ მემამულეთა სიაში არ იქნა შეტანილი, რადგან ის ერთ დროს გასამართლებული და ღირსება ახდილი იყო. ხოლო სენატის განმარტებით ასეთ პირებს საარჩევნო უფლეეა დმკარგული აქვთ; ამიტომაც ის სენატის სხვილ მემამულეთა სიაში არ შეიტანეს დგება საინტერესო კითხვა: როგორ მოხდა გიორგი ჩიჩუა წვრილ მემამულეთა შორის? ვინ ან როდის შეიტანა ის სიაში? ბ. თოფურიძე ვალდებულია ამაზე პასუხი გაგვცეს, რადგან არჩევნები მთელი ხალხის საქმეა და არა რამდენიმე ხრიკოსნებისა.

ერთი ამომრჩეველთაგანი.

ქუთაისში

სადაც იყო ცნობილი რესტორანი **მედვედი** იქ გაიხსნა სასტუმრო

ბრისტოლი

ბრისტოლთან არის საუკეთესო რესტორანი, იქ სადაც **მედვედი** იყო. სასმელ-საჭმელი ჩვეულებრივ სუფთაა და იაფი. ნომრები რესტორანის ზევით არის მოთავსებული. ნომრებში დაცულია მეტის-მეტი სისუფთავე. გვაქვს ახალი მებელი, სასტუმრო განათებულია ელექტრონით; სასტუმროში მოწყობილია ტელეფონი.

სასტუმროს აქვს ვებერთელა ბალკონი.

ნომრების ფასები იაფი ყველასათვის **ხელმისაწდომია**

პატივისცემით **ირაკლი ბახტაძე.**

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის, ქუთაისში. გამომცემელი მ. კვერნაძე.

ა 852
1912